|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 19 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 22 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 23 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 24 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 25 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 26 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 27 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 28 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 29 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 30 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **დამრიგებლის ხელმოწერა** | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **პირობითი აღნიშვნები:** | **არ**-გაცდენა / **დ**-დაგვიანება /**გაპ.**-გაკვეთილიდან/სკოლიდან გაპარვა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## დანართი N 9

### მოსწავლის ქცევის ანალიზის ფორმა

- სასწავლო წლის დასრულებისას აკეთებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზს,

რის საფუძველზეც ადგენს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, რომელშიც აღწერს:

ა) მოსწავლის ძლიერ მხარეებს, მის წარმატებებს, როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებაში.

ბ) მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნებოდა მოსწავლისათვის.

**დამრიგებელი . . . . . . . . . . . . . . .** **--- ----------- 2024 წელი**

**მოსწავლის სახელი და გვარი . . . . . . . . . . . . . . .** **კლასი -----**

**მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების შეფასების ცხრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. პასუხისმგებლობა | სისტემატიურად ასრულებს დავალებებს | არ ავიწყდება სასწავლო ნივთები. არ აგვიანებს | იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავისსა და სხვის უფლებებს |
| | | | |
| 2. თანამშრომლობა | ზრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ | თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს | მეგობრული და კომუნიკაბელურია |
| | | | |
| 3. კრიტიკული აზროვნება | მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას | ბევრ კითხვას სვამს, მაძიებელია | აქვს საინტერესო იდეები |
| | | | |
| 4. ცოდნის გამოყენება | ახარისხებს საჭიროების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას კონკრეტულ საკითხთან | ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს | სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5. საპრეზენტაციო უნარები | ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან | იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს | იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების უნარებს |
| | | | |
| 6. შემოქმედებითობა | აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები | აანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია | შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის შექმნა |
| | | | |
| 7. ლოგიკური აზროვნება | შეუძლია მიღებული შდეგების განზოგადება, კავშირის დამყარება სხვა სტრუქტურებთან | ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო ალგორითმის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტურობის დასაბუთებას | ახერხებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ადგენს კავშირებს და მიმართებებს, აყალიბებს ანალოგიებს, ახდენს საკითხის არსის წარმოჩენას |
| | | | |

თითოეული კომპონენტი ფასდება სამი ქულით: 3 - მკაფიოდ გამოხატული თვისება ან უნარი
2 - ნაკლებად გამოხატული თვისება ან უნარი
1 - სუსტად გამოხატული თვისება ან უნარი

ჯამური ქულა ____

ანალიზი……………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………
…………....

რეკომენდაცია

1) ……………………………………………………………………………
2) ……………………………………………………………………………
3) …………………………………………………………………………….

დამრიგებელი ……………………………………………….
დირექტორის მოადგილე …………………………………………………
მშობელი ……………………………………………………………

**დანართი N 10**

**1.1.სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა**

სკოლაში მოსწავლეების ჩარიცხვა წარმოებს შემდეგი დოკუმენტეწბის საფუძველზე:

- მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე
- მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

**1.2. რეკომენდაცია მშობლებისათვის სკოლაში მოსწავლეთა გადმოყვანის დროს**

სკოლაში მოსწავლეთა გადმოყვანის დროს სკოლა ვალდებულია მშობელს გააცნოს სასკოლო სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი. ვინაიდან სკოლაში გაძლიერებულად მიმდინარეობს მათემატიკისა და ფიზიკის სწავლება, სკოლა უფლებამოსილია სარეკომენდაციო ტესტირება მათემატიკასა და ფიზიკაში ჩაატაროს, რომლის მიზანია, სკოლაში გადმოსვლაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე/ გადმოსვლის მსურველ მოსწავლეებს :

- დაეხმაროს ზემოთ აღნიშნული სასწავლო დისციპლინებში მათ მიერ გავლილ მასალასა და სკოლაში არსებულ პროგრამებს შორის შესაბამისობის ხარისხის დადგენაში, რისთვისაც ტარდება სარეკომენდაციო ტესტირება

**1.3. სარეკომენდაციო ტესტირება**

სარეკომენდაციო ტესტირების ჩასატარებლად , სკოლის ადმინისტრაცია ამტკიცებს, სათანადო საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, კომისიების შემადგენლობას და რეგლამენტს. ადმინისტრაცია ვალდებულია პროცესი წარმართოს მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და ობიექტურად. ტესტირების შედეგად, თუ ამის საჭიროება არსებობს, მოსწავლეს უნდა მიეცეს რეკომენდაციები სწავლის დაწყებამდე დამოუკიდებლად მუშაობისათვის, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისათვის ის მაქსიმალურად ადაპტირებული იყოს იმ დატვირთვისა და მუშაობის ფომისათვის, რომელიც დამკვიდრებულია სკოლაში.

### 1.4. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის გაფორმება

სკოლა ვალდებულია ყოველი მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში გააფორმოს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით . ბრზანებაში მითითებული უნდა იყოს მოსწავლის გვარი, სახელი და შესაბამისი კლასი.

### 1.5. სკოლაში მოსწვალეთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა

სკოლის მისაღები კონტიგენტის განსაზრვრას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია პედსაბჭოს თავმჯდომარესთან და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან კონსულტაციების საფუძველზე. მესამე საფეხურზე მოსწავლეთა კონტიგენტის განსაზღვრის პროცესსი გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მიღების აუცილებლობა, შესაბამისი კლასების რაოდენობა და სკოლის რესურსები.

### 1.6. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

### II. მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლა

მოსწავლეს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს გადავიდეს სასწავლებლად სხვა სკოლაში ზოგადი განათლების იმავე საფეხურზე

### III. მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა

მოსწავლეს უფლება აქვს გადავიდეს პარალელურ კლასში სურვილის შემთხვევაში:

1. მშობელმა/ კანონიერმა წარმომადგენელმა სკოლაში უნდა წარმოადგინოს განცხადება პარალელურ კლასში გადაყვანასთან დაკავშირებით, სადაც დაფიქსირებული იქნება ის მოტივი, რისთვისაც განმცხადებელი ითხოვს მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას
   საჭიროების შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მოთხოვოს დამატებითი განმარტებები დირექტორის მოადგილეებს, დამრიგებლებს ან პედაგოგებს
2. მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანა არ გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს სკოლის დირექტორი განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს ათი სამუშაო დღის ვადაში

### IV. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა

- მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება სასწავლო წლის ბოლოს საბოლოო აკადემიური შედეგების მნიხედვით
- მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას აუცილებელად გათვალისწინებულ უნდა იქნას სასწავლო გეგმის დამტკიცებული კლასიდან კლასში გადასაყვანი ბარიერის პირობა

- თვითოეული მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა სასწავლო წლის ბოლოს ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით

## V. მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა ვალდებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი (გარდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირისა) სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

გ) მოსწავლე ოჯახთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

დ) დაუდგენელია მოსწავლის ადგილსამყოფელი;

ე) მოსწავლე არაერთგზის, უხეშად არღვევს სკოლის შინაგანაწესს;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული დაფინანსება და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ამის თაობაზე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

3. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.

5. მოსწავლე, რომელსაც აღუდგება მოსწავლის სტატუსი, უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს შესაბამის კლასში, თუ მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამა ან ისარგებლოს მობილობით.

6. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა მოსწავლის დაბადების მოწმობა მოსწავლის სტატუსის შეჩერების პერიოდით.

## VII. სკოლის სიიდან მოსწავლის ამორიცხვა

1. .სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მოსწავლის სკოლის სიიდან ამორიცხვა. მოსწავლის სიიდან ამორიცხვის გადაწყცვეტილების მიღების უფლება აქვს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.
2. მოსწასვლის სკოლის სიიდან ამორიცხვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია წერილობით აცნობოს სკოლის დირექციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ
3. წერილობითი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მოსწავლის სიიდან ამორიცხვა ფორმდება დირექტორის ბრძანებით
4. სკოლა ვალდებულია დირექტორის ბრძანების შესაბამისი დამოწმებული ჩანაწერი გააკეთოს მოსწავლის პირად საქმეში, სადაც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ამორიცხვის მიზეზი და თარიღი.
5. კოლის სიიდან ამორიცხულ მოსწავლეს უფლება აქვს სწავლა სხვა სკოლაში განაგრძოს

**დანართი N 11**

## წლიური, სემესტრული, ექსტერნების და საშემოდგომო გამოცდების, საშაბათო სკოლის პროგრამის შემაჯამებელი და მისაღები სარეკომენდაციო წერების დებულება

### I. ზოგადი დებულებები

1.1. წლიური, სემესტრული, ექსტერნების და საშემოდგომო გამოცდების, სემესტრული შემაჯამებელი სასკოლო წერების, საშაბათო სკოლის პროგრამის შემაჯამებელი და მისაღები სარეკომენდაციო წერების დებულება (შემდეგში „დებულება“) წარმოადგენს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლის (შემდეგში „სკოლა“) საქმიანობის ერთ-ერთ მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამომდინარეობს სკოლის წესდებიდან, შინაგანაწესიდან, სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სკოლის სტარეგიული და სამოქმედო გეგმიდან, პასუხობს სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს.

1.2. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საშაბათო სკოლის პროგრამის მუშაობის შეჯამებისა და მიღწეული შედეგების ობიექტური შეფასებისათვის სკოლის დირექციის მიერ სასწავლო წლის დასასრულს ტარდება საშაბათო სკოლის პროგრამის შემაჯამებელი წერა;

1.3. სკოლაში გადმოსვლის მსურველ მოსწავლეთათვის სარეკონედაციო ტესრტირება (შემდეგში „სარეკომენდაციო ტესტირება“) ინფორმირება სკოლის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის პროგრამებთან ტარდება

1.4. სკოლას აქვს უფლებასაშაბათო სკოლის შემაჯამებელი წერისა და სარეკომენდაციო ტესტირების წარმატებულად გავლის შემთხვევაში სკოლაში გადმოსვლის მსურველ მსმენელს/მოსწავლეს გაუწიოს რეკომენდაცია და შესთავაზოს სკოლაში გადმოსვლა;

1.5. შემაჯამებელი წერა უტარდება საშაბათო სკოლის პროგრამის ყველა მსმენელს;

1.6. სარეკომენდაციო ტესტირება ტარდება ფიზიკასა და მათემატიკაში;

1.7. წინამდებარე დებულებაში შემაჯამებელი წერა და სარეკომენდაციო ტესტირება მოხსენიებული იქნება, როგორც „გამოცდა“;
1.8. წლიური, სემესტრული, ექსტერნების და საშემოდგომო გამოცდების, სემესტრული შემაჯამებელი სასკოლო წერები სკოლაში ტარდება ამ დებულების შესაბამისად.

**ტერმინთა განმარტებები**

1.9. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) **საშაბათო სკოლა** – სკოლის სასწავლო გეგმის შემადგენელი პროგრამა, რომელიც განკუთვნილია სკოლაში არარეგისტრირებული მოსწავლეებისათვის – მსმენელებისათვის, რომლის ფარგლებშიც სკოლა ეწევა საგანმანათლებლო სერივსს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ (შესაძლოა ეროვნული სასწავლო გეგმით განუსაზღვრულ) სასწავლო დისციპლინებში;
ბ) **მსმენელი** – საშაბათო სკოლის ფარგლებში სერვისის მიმღები პირი/მოზარდი - სკოლაში არარეგისტრირებული მოსწავლე, ასევე სკოლაში გადმოსვლის სურვილის მქონე მოსწავლე;
გ) **სარეკომენდაციო ტესტირება** – სკოლაში გადმოსვლის მსურველ მოსწავლეთათვის ტესტირების პროცესი;
დ) **შემაჯამებელი წერისა და სარეკომენდაციო ტესტირების წარმატებულად გავლა** – იმ შეფასების მიღება, რომელიც აჩვენებს, რომ მოსწავლეს გავლილი აქვს პროგრამა ფიზიკასა და მათემატიკაში იმ დატვირთვით, რომელიც მოთხოვნილია # 42-ე საჯარო სკოლაში და შეიძლება პროგნოზირება, რომ მოსწავლის სკოლაში გადმოსვლის შემთხვევაში შეძლებს დაძლიოს სკოლის მოთხოვნები;
ე) **გამოცდა** (წინამდებარე დებულების ფარგლებში) - შემაჯამებელი წერა ან სარეკომენდაციო ტესტირება;

**ინტერესთა კონფლიქტი**

1.10.დებულების მიზანია უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტისა და ნეპოტიზმის თავიდან აცილება გამოცდების მომზადების, ჩატარებისა და შეფასების პროცესში;
1.11.დაუშვებელია გამოცდაში მონაწილე მოსწავლის/სმენელის ახლო ნათესავი:
ა) იყოს გამოცდების საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ბ) მონაწილეობდეს საგამოცდო საკითხების შემუშავებაში;
გ) იყოს მეთვალყურე საგამოცდო პროცესზე;
დ) გაასწოროს საგამოცდო ნაშრომები.

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

1.12. გამოცდების გამჭვირვალედ, ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
1.13.გამოცდებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია უნდა განთავსდეს სკოლის ვებ გვერდზე და/ან სკოლაში ოფიციალურად განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ადგილზე;
1.14. სკოლის ვებგვერდზე (www.vekua42.edu.ge) ინფორმაციების ტექნიკურად განთავსებას, დირექციის მიერ გადანაწილებული უფლება-მოსილებების ფარგლებში, უზრუნველყოფს სკოლის საინფორმაციო მენეჯერ(ებ)ი;

1.15.გამოცდებთან˜ დაკავშირებული ინფორმაციების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი/საქმეთა მმართველი.

## II. მოსამზადებელი ეტაპი

### გამოცდების დანიშვნა

2.1. წლიური, სემესტრული, ექსტერნების და საშემოდგომო გამოცდების, სემესტრული შემაჯამებელი სასკოლო წერების, საშაბათო სკოლის პროგრამის შემაჯამებელი და მისაღები სარეკომენდაციო წერების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი;

### საორგანიზაციო კომისია

2.2.გამოცდების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სკოლის დირექტორი შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით ამტკიცებს გამოცდების საორგანიზაციო კომისიას;
2.3.საორგანიზაციო კომისიაში შეიძლება შევიდეს დირექციის წარმომადგენლები, საგნობრივი კომისიის ხელმძღვანელები, ტექნიკური პერსონალი და/ან პედაგოგები;
2.4.საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი ან მის მიერ დანიშნული დირექტორის მოადგილე. ნებისმიერ შემთხვევაში საორგანიზაციო კომისიის მუშაობაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს;
2.5.კომისიის შემადგენლობაში შედიან:
ა)საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე;
ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) ტექნიკური უზრუნველყოფა/შესყიდვები;
დ) ფინანსური მენეჯერი;
ე) საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი;
ვ) საინფორმაციო მენეჯერი;
ზ) მონიტორინგის კოორდინატორი;
თ) რეგისტრატორი;
ი) გამსწორებელი/გამსწორებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და მდივანი;
კ) მეთვალსყურე;
ლ) მოძრაობის კოორდინატორი;
მ) აპელაციის ჯგუფი/აპელაციის ჯგუფის ხელმძღვანელი და მდივანი;
2.6.საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომისიის მუშაობას;
ბ) უზრუნველყოფს კომისიის სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
გ) უზრუნველყოფს კომისიის წევრებს შორის ფუნქციებისა და სამუშაოების სამართლიან და ეფექტურ გადანაწილებას;
დ) ვალდებულია მოახდინოს რეაგირება საგამოცდო პროცესში ჩართული ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე;

ე) პასუხისმგებელია მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის პრინციპების გატარებაზე, ასევე ინტერესთა კონფლიქტისა და ნეპოტიზმის თავიდან აცილებასა და აღკვეთაზე.
2.7.საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და კომისიის თავმჯდომარის კანონიერი დავალებები.
2.8კომისიის წევრის მიერ საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დირექტორის მიერ შეიძლება გატარდეს სკოლის შინაგანაწესით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
2.9.შესაძლებელია ერთი და იგივე პირი ასრულებდეს რამდენიმე ფუნქციას.

**საგნობრივი კომისია**

2.10.საგამოცდო პროცესის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ საგნიბრივ კომისიებს, რომლებშიც შედის შესაბამისი საგნის კათედრის ყველა წევრი.
2.11.საგნობრივ კომისიას ხელმძღვანელობს შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი ან დირექტორის მიერ დანიშნული კათედრის სხვა პედაგოგი.
2.12.საგნობრივი კომისიის შემადგენლობიდან თავმჯდომარე ნიშნავს კომისიის მდივანს, რომელსაც ევალება კომისიის გადაწყვეტილებების შესაბამისი ოქმების მომზადება და მათი გაფორმების უზრუნველყოფა.
2.13.საგნობრივი კომისიის წევრს ევალება:
ა) საგამოცდო პროგრამის შემუშავება;
ბ) საგამოცდო საკითხების ნიმუშებს შემუშავება;
გ) ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
დ) ნაშრომების შეფასება;
ე) ნაშრომების შედეგების აპელაციის განხორციელება.
2.14.საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს საგნობრივი კომისიის მუშაობას;
ბ) უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას სამოქმედო გეგმის შესახებ;
გ) ფასილიტაციას უწევს ჯგუფურ შეხვედრებს;
დ) უზრუნველყოფს კომისიის წევრებს შორის ფუნქციებისა და სამუშაოების სამართლიან და ეფექტურ გადანაწილებას;
ე) წამოჭრილ სადაო და პრობლემატურ საკითხებს აყენებს `გამოცდების~ საორგანიზაციო კომისიისა და/ან სკოლის დირექციის წინაშე;
ვ) პასუხისმგებელია მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის პრინციპების გატარებაზე, ასევე ინტერესთა კონფლიქტისა და ნეპოტიზმის თავიდან აცილებასა და აღკვეთაზე.
2.15.საგნობრივი კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსის პრინციპით.

**საგამოცდო პროგრამა და საგამოცდო საკითხების (ტესტის) ნიმუშები**

2.16.საგამოცდო პროგრამას და საგამოცდო საკითხების ნიმუშებს შეიმუშავებს და სკოლის დირექციას დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი საგნობრივი კათედრა, რომლის მომზადებაშიც სავალდებულოა კათედრის ყველა წევრის ჩართვა;

2.17.გამოცდებთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა ხდება კონსენსუსის წესით, ღია კენჭისყრით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს კათედრის გამგემ/სხდომის თავმჯდომარემ და სხდომის მდივანმა;

**გამოცდების განრიგი და ხანგრძლივობა**

2.18.გამოცდების განრიგსა და ხანგრძლივობას შესაბამის საგნობრივ კათედრებთან კონსულტაციების შედეგად საორგანიზაციო კომისიის წარდგინებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.
2.19.ინფორმაცია გამოცდების განრიგისა და ხანგრძლივობის შესახებ არის საჯარო ინფორმაცია და საორგანიზაციო კომისიამ უნდა იზრუნოს მისი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

**საგამოცდო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

2.20.გამოცდის გარემოს მატერიალურად და ტექნიკურად უზრუნველყოფს (დარბაზის შესაბამისად მოწყობა, დამატებითი განათების დმონტაჟება, კამერები და სხვ.) სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე/შესყიდვების კოორდინატორი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ტექნიკური პერსონალი.
2.21.შესყიდვების კოორდინატორი სკოლის ბუღალტერთან/ფინანსურ მენეჯერთან ერთად ვალდებულია უზრუნველყოს `გამოცდის~ მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის საჭირო შესყიდვები შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით.

**საშაბათო სკოლისა და სარეკომენდაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია**

2.22.მსმენელი საგამოცდო სიებში მოხვედრისათვის ვალდებულია გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია;
2.23.მსნემელი ვალდებულია რეგისტრაციის პროცესში მიუთითოს სწორი ინფორმაციები, არასწორი ინფორმაციის მიწოდების სემთხვევაში სკოლას უფლება აქვს გააუქმოს რეგისტრაცია და მსმენელი ამოიღოს სიიდან.

## III. გამოცდების მიმდინარეობის პროცესი

**საგამოცდო საკითხების შემუშავება**

3.1.საგამოცდო საკითხების მიუკერძოებლად, ხარისხიანად და კონფიდენციალურად შემუშავების მიზნით გამოცდის საორგანიზაციო ჯგუფში შემავალი შესაბამისი სასწავლო დისციპლინის კათედრის წევრები სკოლის შენობაში, იზოლირებულ ოთახში, საგამოცდო პროცესის დაწყებამდე 2 საათით ადრე იწყებენ საგამოცდო საკითხების შემუშავებაზე მუშაობას.
3.2.საგამოცდო საკითხების შემუშავებაში ჩართული პედაგოგები ვალდებული არიან გამოცდის დაწყებამდე არ დატოვონ სკოლის შენობა.

**გამოცდაზე გამოცხადების რეგისტრაცია**

3.3.მსმენელების რეგისტრაცია უნდა დაიწყოს გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და დასრულდეს არა უგვიანეს ნახევარი საათით ადრე.

3.4.გამოცდაზე მსმენელების რეგისტრაციას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომისიის მიერ დანიშნული შესაბამისი პირები - რეგისტრატორები.

3.5.რეგისტრაციის პროცესის ოპერატიულად განხორციელების მიზნით მსმენელი ვალდებულია საინფორმაციო დაფაზე ან სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე ნახოს საკუთარი სარეგისტრაციო ნომერი, რომლითაც ის მიმართავს რეგისტრატორებს.

3.6.მსმენელი ვალდებულია:

ა) გამოცდაზე გამოცხადდეს სკოლის ოფიციალურ მისამართზე წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე ნახევარი საათით ადრე და გაიაროს რეგისტრაცია;

ბ) ჰქონდეს ყველა ის საჭირო ნივთი, რამელიც წინასწარ არის მოთხოვნილი;

გ) რეგისტრაციაზე წარმოადგინოს სურათიანი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სარეგისტრაციო ფურცელი;

3.6.აკრძალულია:

ა) გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის (პლასმასის ბოთლი), პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა;

ბ) მეზობელთან გადალაპარაკება ან რაიმე ნივთის თხოვება;

გ) გამოცდაზე  რაიმე მიზეზით საგამოცდო ტერიტორიის დატოვება;

3.7.მსმენელს უფლება აქვს:

ა) გამოცდაზე მოითხოვოს სამუშაო პირობები;

ბ) გაასაჩივროის  გამოცდის პროცესთან დაკავშირებული დარღვევები;

გ) გაიაროს გამოცდის შედეგების აპელაცია;

3.8.გამოცდის დაწყებამდე მსმენელს გადაეცემა საწერი კალამი და სპეციალური ნიშნის/მარკირების მქონე საგამოცდო რვეული თუ ასეთი რამ წინასწარ არის განსაზღვრული;

3.9.რეგისტრაციის გავლისთანავე მსმენელი უნდა განთავსდეს მისთვის განკუთვნილ მაგიდასთან.

3.10.რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ მსმენელი გამოცდაზე არ დაიშვება.

## მსმენელის მონაწილეობა  საგამოცდო  პროცესში

3.11.მსმენელს უფლება აქვს:

ა)საგამოცდო პროცესის დაწყებამდე საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლების წინაშე დასვას გამოცდასთან  დაკავშირებული მისთვის აქტუალური ნებისმიერი კითხვა;

ბ) გამოცდის მსვლელობისას ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციებისა და განმარტებებისათვის მიმართოს მეთვალყურეს;

გ) მეთვალყურის ნებართვით ისარგებლოს საპირფარეშოთი;

დ) შეამოწმოს საწერი კალმის ვარგისიანობა და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვის მისი გამოცვლა;

3.12.მსმენელი ვალდებულია:

ა) დაიცვას წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესები და მოთხოვნები;

ბ) დაემორჩილოს საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელთა კანონიერ მოთხოვნებს;

გ) გამოიყენოს სკოლის მიერ შეთავაზებული რვეული და საწერი კალამი;

3.13.გამოცდის  მსვლელობისას დაუშვებელია:

ა) თან ჰქონდეს მობილური ტელეფონი ჩართულ მდგომარეობაში;
ბ) გამოიყენოს ნებისმიერი საინფორმაციო წყარო (ნაბეჭდი, აუდიო, ვიდეო და ა.შ.), რომელიც წინასწარ არ არის დადგენილი;
გ) დაილაპარაკოს და/ან დაელაპარაკოს/დაეკონტაქტოს სხვა მსმენელს;
დ) მისცეს საშუალება სხვა მსმენელს ისარგებლოს მისი ნაშრომით;

**საგამოცდო პროცესის დაწყება**

3.14.გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს თხუთმეტი წუთით ადრე სავალდებულოა, მსმენელები ისხდნენ საგამოცდო აუდიტორიაში თავიანთ ადგილებზე.
3.15.გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 წუთით ადრე საგამოცდო კომისიის წარმომადგენელმა მსმენელებს უნდა შეახსენოს მათი უფლება-მოვალეობები და თუ რომელიმე მსმენელს თან აქვს აკრძალული ნივთები მისცეს მას საშუალება ჩააბაროს ის კომისიის წარმომადგენელს.
3.16.საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი ვალდებულია გამოცდის დაწყებამდე მსმენელებს მოსთხოვოს შეამოწმონ საწერი კალმის ვარგისიანობა და საჭიროების შემთხვევაში გამოცვალოს ის.
3.17.წინასწარ განსაზღვრულ დროსთან შედარებით გამოცდის დაგვიანებით დაწყების შემთხვევაში მისი დასრულების დრო გადაიწევს შესაბამისად დაგვიანების დროის შესაბამისად და აღნიშნული უნდა დაფიქსირდეს გამოცდის ჩატარების შესაბამის ოქმში.

**მეთვალყურე**

3.20.საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით საორგანიზაციო კომისია მეთვალყურეებად ნიშნავს სკოლის პედაგოგებს და/ან ტექნიკურ პერსონალს;
3.21.მეთვალყურე ვალდებულია:
ა) იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური;
ბ) ყველა მსმენელი ჩააყენოს თანაბარ პირობებში;
გ) იყოს კორექტული, თავაზიანი და პრინციპული;
დ) არ დატოვოს მისი სამოქმედო ტერიტორია საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის ან მისი წარმომადგენლის ინფორმირებისა და შემცვლელის გამოცხადების გარეშე;
ე) დაატოვებინოს მსმენელს გამოცდა შესაბამისი წესების დარღვევის პირველივე შემთხვევისას და უზრუნველყოს შესაბამისი აქტის გაფორმება;
ვ) არ დაუშვას ერთდროულად ერთზე მეტი მსმენელის საპირფარეშოთი სარგებლობა;
3.22.რეკომენდირებულია, ერთი მეთვალყურე ახდენდეს არაუმეტეს 25 მსმენელის მუშაობის მონიტორინგს.

**მშობელთა დასწრება**

3.23.გამჭვირვალობისა და ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მსმენელების მშობლებს ექნებათ საშუალება მცირე ჯგუფების სახით (მაქსიმუმ 5 ადამიანი) თვალი მიადევნონ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას.
3.24.დაუშვებელია მეთვალყურედ მოწვეული მშობლის ჩარევა საგამოცდო პროცესში;

## IV. ნაშრომების შეფასება

### საგამოცდო ნაშრომების შეფასება

4.1.გამოცდის დასრულების შემდეგ სავალდებულოა ყველა ნაშრომს დაშიფვრა;
4.2.დაშიფრული ნაშრომების შეფასება ხდება შესაბამისი საგნობრივი კათედრის მიერ კონვეირული სისტემით;
4.3.საგნობრივი კათედრა ვალდებულია შეიმუშაოს საგამოცდო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები;

### გამოცდის შედეგების აპელაციის მექანიზმები

4.4.გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრება ხდება მხოლოდ წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლის ფორმაც მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ;
4.5.გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების განხილვის მიზნით სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით იქმნება სააპელაციო კომისია სულ მცირე 2 და არაუმეტეს 5 წევრისა;
4.6.დაუშვებელია სააპელაციო კომისიაში შევიდეს მასწავლებელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო წინამდებარე ნაშრომების გასწორებაში და ასევ დაუშვებელია საჩივრის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა კონკრეტული მოსწავლის მასწავლებელმა;
4.7.სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით;
4.8.დაუშვებელია სააპელაციო კომისიის მუშაობის დასრულებამდე მსმენელმა უშუალოდ მიმართოს იმ გამსწორებელს, რომლის შეფასების მიმართაც არსებობს პრეტენზიები.

### საბოლოო შეფასებები და მათი გამოქვეყნება

4.8.საგამოცდო ნაშრომების საბოლოო შეფასებას აქვეყნებს სკოლის დირექცია მხოლოდ მსმენელთა სარეგისტრაციო ნომრების მითითებით;
4.9.არავის აქვს უფლება ჩაერიოს მონაცემების შეგროვებისა და გადამოწმების პროცესში მათ ოფიციალურ გამოქვეყნებამდე;
4.10.საბოლოო შეფასებები შეიძლება გამოქვეყნდეს გამოცდის ჩატარებიდან 1 სამუშაო დღის შემდეგ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;

## დანართი N 14

## უსაფრთხო სკოლის მონიტორინგის პროგრამა

### I. შესავალი

განათლების სასკოლო სისტემის რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სკოლაში სწავლისა და სწავლებისათვის უსაფრთხო გარემოს და უფრო კონკრეტულად მოსწავლეთა სათანადო დისციპლინის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული უსაფრთხო სკოლის პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე ძირითადად გულისხმობდა

ინტერნეტის საშუალებით სკოლის აკადემიური მდგომარეობისა და დისციპლინური კუთხით სტატისტიკის წარმოებას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე შემუშავდა მოსწავლეთა ქცევის კოდექსის სარეკომენდაციო ვერსია, რომელიც გარკვეულ ადაპტაციას საჭიროებდა, ხოლო იმდენად რამდენადაც არ წარმოადგენდა ნორმატიულ დოკუმენტს მისი რეალიზება მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

გამომდინარე რეფორმების დანერგვის წინაშე მდგარი პრობლემების აქტუალურობიდან აუცილებელი არის დისციპლინური პრობლემების მართვის პროცესში ინტერესთა ჯგუფების და მათ შორის სკოლების მიერ მეტი ინიციატივების გამოვლენა. სწორედ ამ მოსაზრებით სკოლა შეეცადა შეექმნა უსაფრხთო სკოლის საკუთარი საპილოტე მოდელი, რომელიც მიმართულია საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებისა და პრეცედენტების ანალიზის საფუძველზე პროგრამის მუდმივი დახვეწისაკენ.

**II. არსებული სიტუაცია/პრობლემების ანალიზი**

განათლების სასკოლო სისტემის რეფორმირების პროცესში განათლების პოლიტიკის მრავალ აქტუალურ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზების გზაზე მნიშვნელოვანი წინაღობაა სკოლის მოსწავლეების არაადეკვატური და არაჯანსაღი განწყობა სკოლაში სასწავლო პროცესის მიმართ, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიხატება დისციპლინური ხასიათის პრობლემებში.

ზოგადი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ სკოლაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენს, რის შესაძლო მიზეზებსაც აქვე განვმარტავთ, მაგრამ ამის მიუხედავად გვსურს ვაღიაროთ, რომ სკოლაში პრობლემები საჭიროებს სათანადო შესწავლას და ადეკვატური რეაგირებების უზრუნველყოფას.

მოკლედ გვსურს განვმარტოთ, რატომ არის ნაკლები პრობლემები ჩვენს სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მხრივ ზოგად მდგომარეობასთან შედარებით.

მოტივირებული მოსწავლე: მოსწავლეთა კონტინგენტი და მათი მშობლები მაქსიმალურად მოტივირებული არიან სწავლაზე, რადგან სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწყება მე-7 კლასიდან და მშობელს კარგად აქვს გააზრებული თუ სად და რატომ მოყავს შვილი;

სპეციფიკური სასკოლო სასწავლო პროგრამა: სკოლის სპეციფიკა მკაფიოდ არის გამოკვეთილი და მოსწავლე/მშობლისთვის წინასწარ ცნობილია თუ როგორია სასკოლო სასწავლო გეგმა;

პედაგოგთა გენდერული მონაცემები: სკოლაში ჯანსაღი ატმოსფეროს შენარჩუნებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის ფაქტი, რომ თანამშრომელთა 30%-მდე მამაკაცია. ეს კი შესაძლებელს ხდის, რომ სკოლა წარმატებული იყოს, როგორც სასწავლო, არამედ სააღმზრდელო თვალსაზრისითაც;

კანონის უზენაესობა და სკოლის დემოკრატიზაციის სტრატეგია: სკოლის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან პრიორიტეტს სკოლის დემოკრატიზაცია წარმოადგენს, რაც თავისთავად გულისხმობს სკოლის ფარგლებში ინტერესთა ჯგუფების მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების მკაფიოდ გააზრებას და ურთიერთობების სამართლებრივი ფორმებით დარეგულირებას.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება: სკოლის მენეჯმენტის ფუნქცინირების უმთავრესი პრიორიტეტი გახლავთ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დამკვიდრება, რაც ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის გარდა აღნიშნული პრინციპების დამკვიდრებას გულისხმობს ადამიანური რესურსების (კადრების მიღება, ფუნქცია-მოვალეობების განაწილება, დასჯა და წახალისება და სხვა), მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების, მოსწავლეთა შეფასების სისტემის და სხვა საკითხების მართვის მხრივაც.

ზემოთაღნიშნულის მიუხედავად სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ სკოლის განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის მრავალი რამ არის გასაკეთებელი. სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში კონკრეტული პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით სკოლის ადმინისტრაციამ გარკვეული სახის კვლევები განახორციელა, კერძოდ ორგანიზება გაუკეთა მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან, ადმინსიტრაციის წევრებთან და ტექნიკურ პერსონალთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერვიუებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან საერთო შეხვედრებისას მოხდა მათი გამოკითხვა სკოლაში არსებული პრობლემების ხედვის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ფარგლებში

გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემა - წარმატებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის სათანადო დისციპლინის არარსებობა, რაც რამდენიმე ძირითადი განმსაზღვრელი პრობლემებით არის განპირობებული:

მოსწავლეებს სრულყოფილად არა აქვთ გააზრებული სწავლის საკუთარი მოტივები და დისციპლინის მოთხოვნებისადმი არ გააჩნიათ ადეკვატური დამოკიდებულება;

სკოლას არ გააჩნია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების ფორმალურად დაფიქსირებისა და ოფიციალურად დამტკიცებული წესების შესაბამისად რეაგირების პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში არ ხდება საკლასო აუდიტორიაში და ასევე აუდიტორიის გარეთ მოსწავლეთა დისციპლინური დარღვევების ფორმალურად დაფიქსირება/ადმინისტრაციის ინფორმირება. სკოლის საზოგადოება მიჩვეულია ხელმძღვანელი პირების მხრიდან ერთპიოვნული გადაწყვეტილებების მიღებას და საკუთარი პასუხისმგებლობებისა და შესაბამისად მოვალეობების მათთვის გადაცემას.

სკოლის საზოგადოებას არ აქვს გაცნობიერებული დისციპლინურ გადაცდომებზე ფორმალურად რეაგირების დანიშნულება. კერძოდ, მისი მიზანი დასჯაა თუ პრევენცია და აღმზრდელობითი ეფექტის მიღება;

დისციპლინური გადაცდომების ფორმალურად დაფიქსირებასა და მათზე სამართლებრივი რეაგირების პრაქტიკის დანერგვას ხელს უშლის კომუნისტური ეპოქისდროინდელი დასმენების მანკიერი პრაქტიკით განპირობებული სტერეოტიპები;

სკოლის წარმომადგენლებს გააჩნიათ გადაცდომებზე სამართლებრივი რეაგირების ტრადიციისა და სათანადო კომპეტენციების დეფიციტი;

სკოლა არ არის აღჭურვილი დისციპლინურ გადაცდომებზე ეფექტური სამართლებრივი რეაგირებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზითა და სათანადო ადმინისტრირების მექანიზმებით,

რაც ამლიერებს დაუსჯელობის სინდრომს. თანამშრომლებს არ აქვთ წერილობითი კომუნიკაციის ტრადიცია და რიგ შემთხვევებში საჭირო უნარ-ჩვევები. დისციპლინის მართვის პროცესში ჩართულ რგოლებს შორის სუსტია კომინიკაცია, არ არსებობს ფორმალურად/წერილობით განაწილებული უფლება-მოვალეობები, პროცედურები, შეფასების მექანიზმები და რიგი სხვა მნიშვნელოვანი რეგულაციები: უფლება-მოვალეობები, პროცედურები, სანქციები, აპელაციის მექანიზმები.

სკოლის საზოგადოების ნაწილის აღქმით არსებობს საფრთხე, რომ დისციპლინის სათანადო დონეზე მოთხოვნის შემთხვევაში მოსწავლეთა კონტინგენტის გადინება (ვაუჩერული დაფინანსების სისტემის პირობებში) ბიუჯეტის შემცირებას გამოიწვევს;

რიგი პედაგოგები მოელიან, რომ ხელმძღვანელების მიერ მოსწავლეთა მხრიდან დისციპლინის დარღვევა აღიქმება მათ უუნარობად, დაბალი გავლენისა და ავტორიტეტის გამოვლენად;

სკოლას არ გააჩნია თვითშეფასებისა და შეფასების ხარისხიანი მექანიზმები და შესაბამისად მოსწავლეებს არ გააჩნიათ უკუკავშირის განხორციელების – სწავლების პროცესის, შეფასების სისტემის და სხვა პროცესების შეფასების ბერკეტები;

რიგ შემთხვევებში მშობლები პასიურობენ, არ აქვთ სათანადო კომუნიკაცია სკოლასთან, არ იკავებენ ადეკვატურ პოზიციას სკოლის მოთხოვნების მიმართ და ვერ ასრულებენ საჭირო ფუნქციას მოსწავლეთა მიერ ინდივიდუალური თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობებისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების საქმეში;

ფორმალური გზებით მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების პრაქტიკის ნაკლებობის გამო ხშირად მშობლები, მათ შორის კიდევ უფრო მეტად მამები, არ არიან ობიექტურად ინფორმირებული საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებისა და მოქმედებების შესახებ

რიგ შემთხვევაში სკოლას არ გააჩნია მოსწავლეთა დისციპლინის მართვის პროცესში წარმატებული და წარუმატებელი თანამშრომლების (პედაგოგების, მორიგეების, დამრიგებლების...) წახალისებისა და დასჯის ეფექტური სისტემა და სათანადო რესურსები. დისციპლინის მართვაში ჩართული პიროვნებების/მმართველობითი რგოლების საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასების პროცედურებს არ აქვს სისტემტური ხასიათი.

**III. პროგრამის მიზნები და ამოცანები**

პროგრამის მიზნებია:

სკოლაში კანონის მიმართ თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და სამართლიანობის განცდის გამყარება;

მომავალ თაობებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, ინდივიდუალური თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობების განვითარება;

პროგრამის დანიშნულება არის დისციპლინური დარღვევების მინიმუმამდე შემცირება, გადაცდომებზე ფორმალური და სამართლებრივი რეაგირების ტრადიციების დანერგვა და სწავლა-სწავლებისათვის უკეთესი გარემოს შექმნა.

**პროგრამის ამოცანები:**

საინფორმაციო კამპანიის წარმართვა სკოლის საზოგადოების მიერ სკოლის, როგორც სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულების მისიისა და დანიშნულების უკეთ გააზრება, მათ შორის უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფის მნიშვნელობის გაცნობიერების მიღწევა;

მართვის სისტემის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფისა და ნდობის ატმოსფეროს გაზრდის მიზნით, ინტერესთა ჯგუფების მაქსიმალური მონაწილოებით, შინაგანაწესისა და სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების მიღება და მუდმივი განვითარება;

პროგრამის რეალიზებისათვის საჭირო მართვის სისტემის ჩამოყალიბება და სათანადო საკადრო პოლიტიკის გატარება;

მოსწავლეთა თუ თანამშრომელთა დასჯისა და წახალისების სისტემის განვითარება;

შესაბამისი მიმართულებებით თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ამოქმედება;

სტატისკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის სისტემის განვითარება;

მშობლების ჩართვა და გააქტიურება სკოლის მართვის, მათ შორის დისციპლინის მართვის პროცესებში;

სკოლის თვითშეფასებისა და შეფასების მექანიზმების ფორმირება და ამ პროცესში მოსწავლეთა მონაწილოებისა და მათ მოსაზრებებზე რეაგირების ხარისხის გაზრდა;

დაინტერესებულ ჯგუფებთან თუ მხარეებთან თანამშრომლობისათვის მზაობა სასკოლო გარემოს დონეზე, საკანონმდებლო თუ სხვა სახის სამართლებრივი თუ პროგრამული გარემოს გაუმჯობესებისა და სათანადო დოკუმენტების შექმნის საქმეში.

**IV. პროგრამის მართვა**

სკოლაში სწავლა-სწავლებისათვის სათანადო გარემოს შექმნაზე და მოსწავლეთა დისციპლინის მართვაზე პასუხისმგებელი კვლავ რჩება სკოლის ადმინისტრაცია და შესაბამისად უსაფრთხო სკოლის პროგრამის ამოქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს ფუნქციების დუბლირება, თანამშრომელთა მიერ საკუთარი წილი პასუხისმგებლობების მოხსნა და სხვა სახის გაურკვევლობები. უსაფრთხო სკოლის პროგრამის შემოღებით ადმინისტრაციას სურს გამოკვეთოს მოსწავლეთა დისციპლინის მართვის საკითხები და მოახდინოს მასზე კონცენტრაცია.

პროგრამის რეალიზებას უზრუნველყოფს უსაფრთხო სკოლის კოორდინატორი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები დანართის სახით იქნება აღწერილი. მას საკუთარი ფუნქციების განხორციელებაში

დაეხმარება უსაფრთხო სკოლის პროგრამის ასისტენტი (კარისკაცი) და ასევე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციის მიერ დელეგირებული იქნება პედაგოგებთან, დამრიგელებთან და ტექპერსონალთან ურთიერთობების უფლებების ნაწილი.

**მონიტორინგის პროგრამა:**

პედაგოგების მიერ  მოსწავლეთა დაგვიანებების, გაცდენებისა და გაპარვების აღრიცხვის კონტროლი

მოსწავლეთა დაგვიანება, გაცდენა, გაპარვის მონიტორინგის/სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ფორმების/რეგულაციების პროექტების მომზადება და ადმინისტრაციისათვის შეთავაზება შემდგომი რეაგირებისათვის.

მოსწავლეთა დაგვიანებების სტატისტიკის ყოველკვირეული და ყოველთვიური ანალიზი და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად გადაცდომების ფაქტების დადგენა და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება

დისციპლინური გადაცდომების ანალიზის საფუძველზე შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების პროექტების შემუშავება

გაკვეთილებს შორის შესვენებებზე სართულების მიხედვით პედაგოგების მორიგეობის განრიგის შედგენა და მის განხორციელებაზე კონტროლი (შეფასებები და რეკომენდაციები)

სკოლის შემოსასვლელში მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის კონტროლი

მოსწავლეების მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, კვალიფიკაციის მინიჭება და შემდგომი რეაგირებებისათვის რეკომენდაციების (ბრძანებების, განკარგულებების და სხვა) მომზადება

მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებზე პედაგოგთა მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათების მიღება, შესწავლა და შემდგომი რეაგირებებისათვის რეკომენდაციების (ბრძანებების, განკარგულებების და სხვა) მომზადება

სკოლის ექიმის/ექთნის მიერ წარმოებული მოსწავლეთა მიმართვების (რეგისტრაციის) სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი.

**მოვალეობები:**

სამუშაო კვირის ბოლო სასწავლო დღეს დამრიგებლებისაგან მიიღოს კვირის განმავლობაში დაგვიანება, გაცდენა, გაპარვების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, მოახდინოს მათი ანალიზი და ხელმისაწვდომი გახადოს ის;

თვალი გაადევნოს უსაფრთო სკოლის ასისტენტის მიერ მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ მომზადებულ სტატისტიკას, მოახდინოს მისი ანალიზი და გამოიყენოს პედაგოგთა მიერ აღრიცხვიანობის დონის, ხოლო მოსწავლეთა მიერ საკუთარი მონაცემების კეთილსინდისიერად

მიწოდების დასადგენად; პერიოდულად მოამზადოს წერილობითი ანგარიში სკოლაში დისციპლინის მართვასთან დაკავშირებით;

შეიმუშაოს სასწავლო პროცესის შუალედების დროს, შესვენებებზე სართულებზე პედაგოგთა მორიგეობის განრიგი და უზრუნველყოს მისი რეალიზება;

**სუფლებები:**

უსაფრთხო სკოლის კოორდინატორი უფლებამოსილია:

მოთხოვოს მოსწავლეს გარკვეულ ქმედებებზე ახსნა-განმარტების გაკეთება;

მოთხოვოს თანამშრომლებს, მათ შორის დამრიგებელს, მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების შემცველ მოქმედებებზე მოხსენებითი ბარათებისა და საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტებების გაკეთება;

მოთხოვოს კლასის დამრიგებელს მოსწავლის მშობლის ინფორმირება, გამოძახება და/ან მშობლისაგან საჭირო ინფორმაციების მოპოვება;

მოთხოვოს კლასის დამრიგებელს მოსწავლის მშობლის ინფორმირება დისციპლინარული სახდელი-სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულების თარიღი და დრო.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შედეგებზე დაყრდნობით მოამზადოს და ადმინისტრაციას წარუდგინოს შინაგანაწესში ცვლილებისა და დამატებების წინადადებების პროექტი.

უსაფრთხო სკოლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკუთარი წინადადებები შესთავაზოს ადმინისტრაციას ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში;

სკოლაში მყოფ ნებისმიერ პიროვნებას მოთხოვოს საკუტარი ვინაობის წრდგენა, სკოლასი ყოფნის მიზეზი, მიზნისა და წინაპირობების განმარტება

## დანართი N 13

### მოსწავლეთა თვითრეალიზების ხელშემწყობი პროგრამა

**I.შესავალი:**

დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მომავალი თაობის აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. დემოკრატიული სასკოლო გარემო კი ის ადგილია სადაც ხდება მოსწავლე ახალგაზრდების ამ მიმართულებით გააქტიურების წახალისება.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად განათლების სისტემა უნდა უვითარებდეს მოზარდს გონებრივი და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევდეს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეს უყალიბებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო

ცნობიერებას და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე სკოლა უნდა განვიხილოთ საზოგადოების მინი-მოდელად და მის მიზნად არა მხოლოდ სწავლება, არამედ მომავალი სამოქალაქო საზოგადოებისათვის სათანადოდ მომზადებული და განსწავლული თაობის აღზრდა უნდა წარმოადგენდეს.

ციტირება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან:

- თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ხელსასყრელი პირობების შექმნა;
- მოსწავლეთა განათლებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულების განვითარება;
- პიროვნების დახმარება მისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
- მიზნების მიღწევა რამდენიმე ძირითადი საშუალებით-მათ შორის ეროვნული სასწავლო გეგმით;
- მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებას განაპირობებს საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განათლების სისტემაში.

ვაცნობიერებთ, რა ქვეყნის წინაშე ამ მნიშვნელოვანი როლის შესრულების აუცილებლობას, სკოლა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მოსწავლე ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ამის შესრულება მხოლოდ ფორმალური განათლების გზით არაეფექტურია. აქედან გამომდინარე 2009 წლიდან სკოლაში დაიწყო მოსწავლეთა კლუბების ფორმირება. ამ უკანასკნელის წარმატებული საქმიანობისათვის კი **ამოქმედდა პროგრამების კოორდინატორის პროგრამა.**

**II. პროგრამის მიზნები და ამოცანები:**

- თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისათვის სათანადოდ მომზადებული და ინფორმირებული, ღირსეული მოქალაქეების აღზრდის ხელშეწყობა;
- სკოლაში მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება;
- მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- არჩევანის თავისუფლების ხარისხის გაზრდა.

**III.. პროგარმის მიმართულებები**




IV პროგრამის კოორდინატორის სამუსაოთა აღწერილობა

ა) მოსწავლეთა თვითმმართველობა, კლუბები;

- მოსწავლეთა თვითმმართველობისა და კლუბების მუშაობის ხელშეწყობა;
- სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის ინფორმირება მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების შესახებ;
- საერთაშორისო გამოცდილების მიღების ხელშეწყობა;
- სკოლის ფარგლებში არსებული მოსწავლეთა სხვადასხვა კლუბების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა;
- ანგარიშის მომზადება (წლიური, სემესტრული)

ბ) პროექტები და პროგრამები  ადგილობრივი და საერთაშორისო

- სემინარების ორგანიზება და  წარმართვა პროექტების მომზადებისა და მართვის შესახებ (თვეში ორჯერ);
- კონსულტაციები პროექტების განხორციელების პერიოდში;
- მოსწავლეთა პროექტების დაფინანსებისათვის საგრანტო კონკურსების ორგანიზება და წარმართვა (როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე დაფინანსების მიღებისათვის);
- სკოლის ფარგლებში ინფორმაციის გავრცელება საგრანტო და სხვა კონკურსების  შესახებ;
- პროექტების დაფინანსების წყაროების მოპოვების ხელშეწყობა;
- ერთობლივი პროექტების ( მოსწავლეებისა და პედაგოგების) განხორციელების ხელსეწყობა, როგორც საქართველოს ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- ანგარიშის მომზადება ( წლიური, სემესტრული)

გ) მოსწავლეთა სტაჟირება:

- მომავალი თაობის პროფესიის არჩევის პროცესში, სწორი ორიენტაციის აღების ხელშეწყობა მოსწავლეთა სტაჯირების პროგრამის შემუშავებით;
- სკოლაში სტანდარტზედა პროგრამის ფარგლებში  არსებული მიმართულებებით: მენეჯმენტი, კონფლიქტოლოგია, პროგრამირება, ჟურნალისტიკა, ლოგიკა მოსწავლეთა სტაჟირების

პროგრამის შემუშავების ხელშეწყობა, კოორდინატორების დახმარება აღნიშნული პროგრამის შემუშავება- განხორციელებაში:

ორგანიზაციების მოძიება,

მოლაპარაკებების წარმართვა;

სტაჟირების პროგრამის შეთავაზება;

ერთობლივი პროგრამების შემუშავება.

- ანგარიშის მომზადება (წლიური, სემესტრული)

**მოსწავლეთა გაერთიანებები/ კლუბები**

**მოსწავლეთა კლუბები** მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისა და მისი ინტერესების გამოვლენისათვის საუკეთესო საშუალებაა კლუბების ფორმირება. იგი მოზარდებს აერთიანებს საერთო ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. კლუბი მოსწავლეს ეხმარება აკეთოს ის რაც თავად სურს და არა ის რასაც აველებენ. თვითმმართველობა კოორდინირებას უწევს ყველა კლუბის მუშაობას, ეხმარება მას პროექტების მომზადებასა და განხორციელებასი ამასთან ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებაში. მოსწალეს შეუძლია გაწევრიანდეს რამოდენიმე კლუბში.

კლუბების ფორმირებისას მოსწავლეების გადაწყვეტილებით აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციებზე და ათასწლეულის განვითარების მიზნებზე. აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა შემდეგი კლუბები:

**V. პროგრამის ანგარიშვალდებულება:**

*ა) ანგარიში მშობლების გაერთიანებული კრების წინაშე:*

- საერთო შეხვედრებზე პრეზენტაციები;
- მშობელთა კომიტეტების წევრებისათვის ელქტრონული ფოსტით ინფორმაციის მიწოდება;
- მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის სტატისტიკური მონაცემების გაცნობა;

*ბ) ანგარიში სკოლის ადმინისტრაციისათვის ( სემესტრული, წლიური);*

*გ) ანგარიში სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის (სემესტრული წლიური)*

*გ ზამკვლევი პროექტის პროგრამის მართვაზე;*

| | *მოქმედება* | *შენიშვნა* | *აღრიცხვა* |
|---|---|---|---|
| 1 | პროექტი/პროგრამა(წარდგენა დირექციის წინაშე | | |
| 2 | სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი/ პროექტი -ოქმის ასლი | | |
| 3 | პედსაბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართის მითითება)-ოქმის ასლი | საკუთარ მოსწავლეებზე გათვლილი საქმიანობის შემთხვევაში | |
| 4 | ბრძანება პროექტის ამოქმედების შესახდებ/ რეგისტრაციის ნომრის მინიჭება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | ადამიანური რესურსების მართვა | | |
| 5.1 | ხელშეკრულება | | |
| 5.2 | პირადობის მოწმობის აასლი | | |
| 5.3 | დამოწმებული საბანკო რეკვიზიტები | | |
| 5.4 | ანგარიში შესრულებული სამუსაოს შესახებ ან შესრულებული სამუსაოს პროდუქტი | | |
| 5.5 | მიღება ჩაბარების აქტი | | |
| 5.6 | პროექტის/პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნა გადარიცხვაზე სკოლის დირექტორის სახელზე | | |
| 5.7 | დირექტორის ბრძანება გადარიცხვაზე | | |
| 6 | პროექტის ფარგლებში შესყიდვა | | |
| 6.1.1. | ხელშეკრულება-ფიზიკური პირის შემთხვევაში | ხელშეკრულებამდე განაცხადიშესყიდვაზე შესყიდვების კოორდინატორთან | |
| 6.1.2 | პირადობის მოწმობის ასლი | | |
| 6.1.3 | დამოწმებული საბანკო რეკვიზიტები | | |
| 6.1.4 | ტექნიკური დოკუმენტაცია | ასეთის არსებობის შემთხვევაში | |
| 6.1.5 | მიღება-ჩაბარების აქტი | | |
| 6.1.6 | პროექტის/პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნა გადარიცხვაზე სკოლის დირექტორის სახელზე | | |
| 6.1.7 | დირექტორის ბრძანება გადარიცხვაზე | | |
| 6.2 | ხელშეკრულება-იურიდიული პირის შემთხვევაში | ხელშეკრულებამდე განაცხადი შესყიდვაზე შესყიდვების კოორდინატორთან | |
| 6.2.1 | ინვოისი/გამარტივებული ანგარიშფაქტურა | მოთხოვნა სესყიდვების კოორდინატორთან | |
| 6.2.2. | პროექტის/პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნა გადარიცხვაზე სკოლის დირექტორის სახდელზე | | |
| 6.2.3 | დირექტორის ბრძანება გადარიცხვაზე | | |
| 6.2.4 | ტექნიკური დოკუმენტაცია(პასპორტი, საგარანტიო და ა.შ.) | ასეთის არსებობის შემთხვევაში | |
| 6.2.5 | სასაქონლო ზედნადები | | |
| 6.2.6 | მიღება-ჩაბარების აქტი | | |
| 6.2.7 | საგადასახადო ანგარიშფაქტურა | დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში | |
| 7 | პროექტის/პროგრამის ხელმძღვანელის ფინანსური ანგარიში სკოლის დირექტორის სახელზე | | |
| 8 | პროექტის/პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამული ანგარიში სკოლის დირექტორის სახელზე | | |
| 9 | დირექციის მიერ წლიურ ანგარიშში | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | პროექტის ანგარიშის ასახვა | | |